საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა დაიურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტრო

სსიპ – იურიდიული დახმარების
სამსახური

MINISTRY OF CORRECTIONS
AND LEGAL ASSISTANCE
OF GEORGIA

LEPL - LEGAL AID
SERVICE

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 12-03-847 „04" „11" 2013 წ.

ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს #219 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად და „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „ნ" პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სამსახურის დირექტორი მელიტონ ბენიძე

მისამართი: რუსთაველის გამზ. №30, თბილისი 0146, საქართველო, ტელ: +995(32)2920055; ელ-ფოსტა: info@legalaid.ge ვებგვერდი: www.legalaid.ge

ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების სამსახურში (შემდგომი - სამსახური) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესს.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა. შესაბამისად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.
2. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია გააგზავნოს სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, ელექტრონულ მისამართზე publicinfo@legalaid.ge, სამსახურის ვებ-გვერდზე ან/და ს.ს.ი.პ. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალიდან (www.my.gov.ge).
3. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა შეიცავდეს:
   ა) ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური პირის სახელს, გვარს, პირად ნომერს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონულ ფოსტას;
   ბ) ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონულ ფოსტას;
   გ) საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველ ფორმას (ელექტრონული ფოსტის საშუალებით, კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით, თუ დედანში გაცნობის გზით)
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა სამსახურის მიერ არ განიხილება.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა

1. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ელექტრონული მისამართის მეშვეობით რეგისტრირდება სამსახურის დოკუმენტბრუნვის სისტემაში (ეფლოუ) და მომთხოვნს ეგზავნება რეგისტრაციის დადასტურება, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, ელექტრონული ფოსტით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების ათვლა დაიწყება მოთხოვნის ელექტრონული ფორმით მიღებიდან (რეგისტრაციიდან) მეორე სამუშაო დღეს.

3. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, სამსახური ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს მომთხოვნს და იტოვებს უფლებას მომთხოვნის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი გაცემა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.